საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო

28/07/2025

MES 7 25 0000923353

გადაწყვეტილება

შპს უნივერსიტეტ გეომედის „საექთნო საქმის“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული "უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^2-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და ამავე დებულების 27^6 - ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციაზე უარის თქმის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს საბჭო, თუ საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის

სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას ერთ სტანდარტთან მიმართებით მაინც შეფასდა, როგორც „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“.

1.3. აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის მე-7^1 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, დასაბუთებული არგუმენტაციის შემთხვევაში, განსაზღვროს გადაწყვეტილებების ძალაში შესვლის თარიღი.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 21 მარტის №316224 ბრძანების საფუძველზე განხორციელდა შპს უნივერსიტეტ გეომედის "საექთნო საქმის" ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სააკრედიტაციო ვიზიტი.

2.2. საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

2.3. სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის და სხდომაზე დაინტერესებული მხარეების ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

3. სარეზოლუციო ნაწილი

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “გ” ქვეპუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, ამავე კანონის 24-ე მუხლის, აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 -ემუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, მე-2 და მე-5 პუნქტების, 27^6 -ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად,

გადაწყვიტა:

1. უარი ეთქვას შპს უნივერსიტეტ გეომედის ამ გადაწყვეტილების დანართი №1-ით გათვალისინებულ "საექთნო საქმის" ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას აკრედიტაციის მინიჭებაზე.
2. ცნობილ იქნას „საექთნო საქმის“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).
3. ცნობილ იქნას საბჭოს 2025 წლის 28 ივლისის სხდომის №921116 ოქმის 01 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).

4. საბჭომ გადაწყვეტილებას საფუძვლად დაუდო შემდეგი რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია, პროგრამის მიზნების გადახედვა და მათი შესაბამისობის უზრუნველყოფა დარგობრივ მახასიათებელთან;
2. რეკომენდებულია, დაინტერესებული მხარეების ორგანიზებული ჩართულობა პროგრამის მიზნების/ამოცანების გადახედვისა და შემუშავების პროცესში და თითოეული ეტაპის დოკუმენტირება;

3. რეკომენდებულია, შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინება პროგრამის მიზნების შემუშავებისა და განხილვის პროცესში;
4. რეკომენდებულია, პროგრამის მიზნების უნიფიცირება და მათი სტანდარტული ფორმით წარმოდგენა ყველა ოფიციალურ დოკუმენტში;
5. რეკომენდებულია, პროგრამის მიზნების შესაბამისობის უზრუნველყოფა უნივერსიტეტის მისიასთან, მიზნებთან და სტრატეგიასთან;
6. რეკომენდებულია, პროგრამის სწავლის შედეგების ფორმულირება მკაფიო და გაზომვადი მოქმედებითი ზმნების გამოყენებით, საჭირო რაოდენობით;
7. რეკომენდებულია, პროგრამის სწავლის შედეგების პროგრამის მიზნებთან შესაბამისობაში მოყვანა და შესაბამისობის რუკის შემუშავება;
8. რეკომენდებულია, პროგრამის სწავლის შედეგების უნიფიცირება და მათი შინაარსის, სტრუქტურისა და ტერმინოლოგიის თანმიმდევრულობის უზრუნველყოფა;
9. რეკომენდებულია, შესაბამისი დაინტერესებული მხარეების სწავლის შედეგების შემუშავებასა და განხილვის პროცესში ორგანიზებულად ჩართვა და პროცესის სათანადოდ დოკუმენტირება;
10. რეკომენდებულია, რომ სწავლის შედეგები ითვალისწინებდეს დარგობრივ მახასიათებლის მოთხოვნებს;
11. რეკომენდებულია, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისთვის სტრუქტურირებული სისტემის შემუშავება და დანერგვა, რომელიც განსხვავებული იქნება ზოგადი ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებისგან და სპეციალურად იქნება მორგებული საექთნო საქმის საგანმანათლებლო პროგრამაზე;
12. რეკომენდებულია, რომ პროგრამის სწავლის შედეგების (PLOs) შეფასების ინსტრუმენტები მოიცავდეს როგორც პირდაპირ (მაგ. კურსის შეფასება), ასევე, არაპირდაპირ (მაგ. სტუდენტების კმაყოფილების გამოკითხვა) მეთოდებს დაარ იყოს არასწორად კლასიფიცირებული (ან ზოგადი) როგორც სწავლის შედეგის მიღწევის მტკიცებულება;
13. რეკომენდებულია, სამიზნე მიშნულების ან მინიმალური მიღწევის დონეების განსაზღვრა თითოეული სწავლის შედეგისთვის, ეროვნული სტანდარტების რეკომენდაციების შესაბამისად და მათი დოკუმენტირება;
14. რეკომენდებულია, აკადემიური და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პერსონალისთვის ტრენინგის ჩატარება, სადაც განხილული იქნება საუკეთესო პრაქტიკები, თუ როგორ უნდა მოხდეს პროგრამის მოდიფიცირება და გაუმჯობესება შედეგების გაზომვის, მონაცემთა ანალიზისა და მტკიცებულებებზე დაყრდნობით, იმისათვის რომ მიღწეული იქნეს პროგრამის სწავლის შედეგები;
15. რეკომენდებულია, კრედიტების განაწილების გადახედვა, რათა ის შესაბამისობაში იყოს დარგობრივ მახასიათებელთან: ა) მინიმუმ 220 ECTS კრედიტი სპეციალობის კომპონენტებისთვის (ძირითადი და არჩევითი) ბ) მაქსიმუმ 20 ECTS კრედიტი ზოგადი და თავისუფალი კომპონენტებისთვის (ძირითადი და არჩევითი);
16. რეკომენდებულია, რომ პროგრამის სავალდებულო კომპონენტის სულ მცირე ნახევარი დაეთმოს კლინიკურ პრაქტიკას, ხოლო მინიმუმ ერთი მესამედი - თეორიულ სწავლებას;
17. რეკომენდებულია, კურსების განაწილება და სახელწოდებები ერთნაირად იყოს მითითებული ყველა ოფიციალურ დოკუმენტში;
18. რეკომენდებულია, სასწავლო კურსი - სოციოლოგია პროგრამაში ინტეგრირდეს, როგორც სავალდებულო სასწავლო კურსი;
19. რეკომენდებულია, სტუდენტებისთვის არჩევითი კურსების შესახებ დეტალური სახელმძღვანელოს შემუშავება და მისი საჯაროდ ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
20. რეკომენდებულია, თითოეული სასწავლო კურსისთვის სასწავლო გეგმისა და შეფასების სქემის შემუშავება, რომელშიც მკაფიოდ იქნება ასახული თითოეული კურსის სწავლის

შედეგის შესაბამისობა კურსის შინაარსთან, შინაარსის გადაცემის მეთოდთან და შესაბამის შეფასების მეთოდთან, რათა უზრუნველყოფილი იყოს კურსის თითოეული სწავლის შედეგის შეფასება;

21. რეკომენდებულია, მეთოდოლოგიური დოკუმენტის ან ინსტიტუციური სახელმძღვანელოს შემუშავება საკონტაქტო საათების, პრაქტიკული საათებისა და დამოუკიდებელი სწავლის განაწილებისთვის და აკადემიური პერსონალის შესაბამისი მომზადება ამ სახელმძღვანელო პრინციპების პრაქტიკაში გამოყენებისთვის;
22. რეკომენდებულია, შესასწავლი მასალა შეესაბამებოდეს მისთვის გამოყოფილ დროს;
23. რეკომენდებულია, სასწავლო მასალის/რესურსების გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში დამუშავება, რათა უზრუნველყოფილ იქნას მათი შესაბამისობა საექთნო საქმის საბაკალავრო პროგრამასთან (მაგალითად, ჩანაცვლდეს ზედმეტად რთული ლიტერატურა ისეთი რესურსებით, რომლებიც შეესაბამება სტუდენტების მომზადების დონესა და სპეციალობის პროფილს);
24. რეკომენდებულია, რომ სასწავლო რესურსები და ლიტერატურა იყოს განახლებული და რაოდენობრივად საკმარისი, რათა სრულად დააკმაყოფილოს სტუდენტების საჭიროებები;
25. რეკომენდებულია, ტრენინგების ჩატარება სიმულაციურ სწავლებაში და ყველა შესაბამისი ინსტრუქტორისთვის დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემა;
26. რეკომენდებულია, სტრუქტურირებული მითითებებისა და მექანიზმების შემუშავება, რომ კლინიკური პრაქტიკა შორეულ ლოკაციებზე (მაგ., რუსთავში) იყოს ხარჯეფექტური, დროის თვალსაზრისით ოპტიმალური და განხორციელდეს სტუდენტების უფლებების დაცვისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფით;
27. რეკომენდებულია, კარიერული განვითარების მექანიზმების შემუშავება საექთნო საქმის სტუდენტებისთვის, მათ შორის CV-ს შედგენის ვორქშოპები და კარიერული კონსულტაციები;
28. რეკომენდებულია, რომ თითოეული სილაბუსში მოცემული სწავლების მეთოდები ითვალისწინებდეს სასწავლო კურსის თავისებურებებს, რათა უზრუნველყოფილი იყოს სასწავლო კურსის სწავლის შედეგების მიღწევა. რეკომენდებულია, სწავლების ყველა ის მეთოდი, რომელიც მითითებულია სილაბუსში, რეალურად იყოს ასახული კურსის შინაარსში, აგრეთვე დრო და რესურსები განაწილდეს სათანადოდ. რეკომენდებულია, მკაფიო განმარტებებისა და ინსტიტუციური მითითებების შემუშავება სწავლების სხვადასხვა მეთოდების განხორციელების შესახებ (მაგ., ლექციები, სემინარები, PBL, CBL), რათა თავიდან იქნას აცილებული კონცეპტუალური შეუსაბამობა და უზრუნველყოფილი იყოს მათი თანმიმდევრული გამოყენება მთელ პროგრამაში. ასევე თქვენს მიერ შემუშავებული მითითებები და შესრულების მეთოდოლოგია შეესაბამებოდეს ამ სწავლების მეთოდების საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებს;
29. რეკომენდებულია, სილაბუსების კოლეგიური შეფასების წახალისება (რომელიც დოკუმენტის სახით იქნება მომზადებული), რათა გაუმჯობესდეს ხარისხის კონტროლი და კურიკულუმი მიღებული უკუკავშირის გამოყენებით;
30. რეკომენდებულია, სწორად განისაზღვროს დამატებითი გამოცდების დაგეგმვის წესიდოკუმენტის ინგლისურ ვარიანტში და მოვიდეს შესაბამისობაში ქართულ ვარიანტთან და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №-3 ბრძანებასთან;
31. რეკომენდებულია, რომ მრავალჯერადი არჩევანის კითხვების (MCQs) რაოდენობა შესაბამისობაში მოვიდეს კურსის შინაარსთან, ECTS კრედიტებთან ფრაგმენტული შეფასების თავიდან ასაცილებლად;
32. რეკომენდებულია, ფორმალური შეფასების გეგმის შემუშავება და დანერგვა თითოეული კურსისთვის, რაც გამოავლენს სწავლის შედეგების შესაბამის შეფასების ინსტრუმენტებსა და თემებს;

33. რეკომენდებულია, სტრუქტურირებული შეფასებამდე და შეფასების შემდგომი ერთეულების განხილვა, ანალიზი, მათ შორის კითხვების ვალიდაცია და ფსიქომეტრიული შეფასება (მაგ. გამოცდის სანდოობა კრონბახის ალფას ან KR20- ის გამოყენებით, ერთეულების დანარჩენებთან კორელაცია, წერტილოვანი ბისერიალური კორელაცია, სირთულის ინდექსი და დისტრაქტორების ანალიზი და ა.შ.);
34. რეკომენდებულია, რომ უსდ-მ შემოიღოს სტუდენტებისთვის გამოცდის შემდგომი უკუკავშირის მექანიზმები, იქნება ეს ინდივიდუალური თუ ჯგუფური სახის შეხვედრები და დანერგოს ეს უკუკავშირი, როგორც სტანდარტული აკადემიური პრაქტიკა;
35. რეკომენდებულია, სწორად განისაზღვროს და განხორციელდეს სამუშაო ადგილზე დაფუძნებული შეფასების მეთოდები, ასევე რეკომენდებულია ისეთი აღიარებული ინსტრუმენტების გამოყენება, როგორიცაა Mini- CEX, DOPS და CBD, გამოცდილი ხელმძღვანელების დაკვირვების ქვეშ. რეკომენდებულია საერთაშორისოდ აღიარებული შეფასების პრაქტიკების მიღება იმის თაობაზე, თუ სად უნდა ჩაისვას WPBA - ფორმატურ თუ შემაჯამებელ შეფასებაში;
36. რეკომენდებულია, ფაკულტეტის წევრების განვითარებისთვის სტრუქტურირებული და დეტალური სესიების უზრუნველყოფა შეფასების მეთოდების მიმართულებით, მათ შორის MCQ კონსტრუირება, OSCE- ს დიზაინი, WPBA, ერთეულების განხილვა, ერთეულების ანალიზი და ა.შ;
37. რეკომენდებულია, სტუდენტების კონკრეტულ სასწავლო სფეროებთან დაკავშირებული მეტი ვორქშოპის შეთავაზება, რაც გააძლიერებს მათ თეორიულ ცოდნას და პრაქტიკულ უნარებს;
38. რეკომენდებულია, გაიზარდოს სტუდენტების ჩართულობა სამეცნიერო კვლევაში და მათი წახალისდეს მათი მონაწილეობით აკადემიური პუბლიკაციების შემუშავების დროს.
39. რეკომენდებულია, მკაფიო სამუშაო გეგმის უზრუნველყოფა ფაკულტეტის თითოეული წევრისთვის, განსაკუთრებით იმ პერსონალისთვის, რომლებიც მარტო არიან თავიანთ სპეციალობაში და პერსონალისთვის, რომლებიც ჩართულნი არიან მრავალი კურსის სწავლებაში;
40. რეკომენდებულია, სტუდენტისა და პერსონალის შესაბამისი თანაფარდობის განსაზღვრა და შენარჩუნება დაწესებულებაში შიდა წესებით განსაზღვრული მაჩვენებლების შესაბამისად;
41. რეკომენდებულია, განისაზღვროს პროგრამის აკადემიური, კვლევითი და მოწვეული პერსონალის რაოდენობის დაგეგმვის მეთოდოლოგია და რეგულარულად მოხდეს მისი განხილვა ბალანსისა და მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით;
42. რეკომენდებულია, ფაკულტეტის წევრების გადინების დაკვირვების მექანიზმების დაწესება და მისაღები ცვლის მახასიათებლების განსაზღვრა, რომლებიც შეესაბამება პროგრამის უწყვეტობას და ინსტიტუციურ მიზნებს;
43. რეკომენდებულია, უსდ-მ უზრუნველყოს სტრუქტურირებული შესაძლებლობები და ფაკულტეტის წევრების განვითარება, რაც გააძლიერებს მათ კვლევით უნარებს, განსაკუთრებით ფაკულტეტის იმ წევრებისთვის, ვისი კვლევითი საქმიანობა მცირეა;
44. რეკომენდებულია, რომ პროგრამის ხელმძღვანელს ჯანდაცვის დარგში ფორმალური განათლება ჰქონდეს, და მეტი გამოცდილება შეიძინოს საგანმანათლებლო პროგრამის დიზაინის, ხელმძღვანელობის და სასწავლო გეგმის შემუშავების მხრივ;
45. რეკომენდებულია, შეიქმნას ფაკულტეტის წევრებისა და პროგრამის ხელმძღვანელებისთვის ყოვლისმომცველი პროფესიული განვითარების სტრატეგია, რომელიც მოიცავს როგორც მოკლევადიან, ისე გრძელვადიან ტრენინგ გეგმებს, განიხილავს სასწავლო გეგმას (შექმნა და გადახედვა), სწავლებას (როგორც ტრადიციულ, ისე თანამედროვე, მათ შორის სიმულაციას და ვირტუალურ რეალობას), შეფასებას (მათ შორის MCQ/SBA- ების კონსტრუქციას, ბლუპრინტის შემუშავებას, ელემენტთა ანალიზს და ა.შ.), კვლევას და აკადემიურ ლიდერობას;

46. რეკომენდებულია, ყოვლისმომცველი საბიბლიოთეკო კატალოგის (ბეჭდური და ციფრული, როგორც ინგლისურ, ასევე ქართულ ენაზე) მომზადება და გაზიარება, რომელიც მოწმობს სილაბუსებში ჩამოთვლილ ყველა ძირითად ტექსტსა და დამატებით ლიტერატურაზე წვდომას;
47. რეკომენდებულია, გადაიხედოს და სტანდარტული სახე მიეცეს კლინიკური პარტნიორებთან გაფორმებულ ყველა შეთანხმებას, სადაც მკაფიოდ იქნება მითთებული სტუდენტების ტიპი (მაგ., საექთნო საქმის ან სამედიცინო), ჩართული სტუდენტების რაოდენობა, გავლილი საგნები, სწავლის ხანგრძლივობა და კლინიკური ტრენინგის საქმიანობების მასშტაბი, რაც უზრუნველყოფს სიცხადეს და შესაბამისობა სასწავლო ამოცანებთან;
48. რეკომენდებულია, კლინიკური პარტნიორობის შეთანხმებების ვადის გაგრძელება, განსაკუთრებით წმინდა იოანე მოწყალის კერძო კლინიკასთან და კლინიკა "პირველთან", კლინიკური განათლების მდგრადობისა და უწყვეტობის გასაუმჯობესებლად, და გრძელვადიანი დაგეგმვისა და ხარისხის უზრუნველყოფის მხარდასაჭერად;
49. რეკომენდებულია, დამატებითი კონტრაქტის გაფორმება სპეციფიკურ პედიატრიულ კლინიკასთან ან საავადმყოფოსთან პედიატრიული და ნეონატალური განყოფილებით;
50. რეკომენდებულია, რომ ბიუჯეტი მოიცავდეს უშუალოდ საექთნო საქმისთვის გამოყოფილ დაფინანსებას, რაც უზრუნველყოფს ფაკულტეტის განვითარებას, კვლევით ჩართულობას და აკადემიური ლიდერობის ტრენინგს;
51. რეკომენდებულია, დაინერგოს მექანიზმი პროგრამის ხარჯების ყოველწლიური მონიტორინგისა და ანგარიშგების მიზნით, რათა უზრუნველყოფილ იქნას ფინანსური გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება;
52. რეკომენდებულია დაინტერესებული მხარეების ფორმალური კონსულტაციის ჩარჩოს შექმნა პროგრამის რეგულარული განხილვისთვის, რომელიც პერიოდულად ჩატარდება; ასევე, რეკომენდებულია, დაინტერესებული მხარეების შეხვედრების ანგარიშების შენახვა, უკუკავშირის და პროგრამაში განხორციელებული საქმიანობის ან ცვლილებების შესახებ ინფორმაციის შეგროვება;
53. რეკომენდებულია გაძლიერდეს დამსაქმებლების ჩართულობა პროგრამის შემუშავებაში, განხილვასა და მუდმივ გაუმჯობესებაში დადგენილი მექანიზმის საშუალებით პერიოდული შეხვედრებით, რაც პროგრამას მეტ შესაბამისობაში მოიყვანს შრომის ბაზრის საჭიროებებთან;
54. რეკომენდებულია, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა გააძლიეროს კურსის დოკუმენტაციის მონიტორინგი, რათა უზრუნველყოს თანმიმდევრულობა გამოცხადებულ სწავლების მეთოდებს, შეფასების მიდგომებსა და განსაზღვრულ სწავლის შედეგებს შორის ყველა სილაბუსში;
55. რეკომენდებულია დაინერგოს კოლეგიალური შეფასების მექანიზმი, რაც გულისხმობს ლექციებზე ურთიერთდასწრებას განმავითარებელი შეფასების მიზნით.

5. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2025 წლის 15 ივლისს.

6. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24^1 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის II შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64, აღნიშნული

გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) დაწესებულების კანონმდებლობის შესაბამისად ინფორმირების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს
მდივანი
კელიხაშვილი ვაჟა

საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიატციის საბჭო
თავმჯდომარე
ლევან შავაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა
ზუსტი ასლი
ელექტრონული